მეორე წელიწადი — ფასი 7 კაპ. — კვირა, 22 მაისი 1916 წ. — № 113

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ჭირნახულით გულდაწყვეტილნი: თ-დი შოთა იასონის ძე გელოვანი, მეუღლე მისი კნ. ელენე ფარსადანის ასული გელოვანისა, გუგული და ზინა ასლან კვრტაშვილის ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს გარდაცვალებას თბილისში, მძიმე და ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ პირველი—უსაყვარლესი დის, მეორე მულის და მესამენი—უძვირფასესი დეიდის

**ბაბო** იასონ გელოვანის ასულის **ნიჟარაძისას**

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 ს., განსვენებულის ბინაზე (გუნიბის ქუჩა, სახლი № 8. მიცვალებულს სამშობლოში წაასვენებენ კვირას, 22 მაისს. გამოსვენება: ბინიდან თბილისის სადგურზე საღამოს 5 საათზე, ხოლო თბილისის სადგურიდან ქუთაისისაკენ საღამოს 10 საათ. 33 წ. ქუთაისიდან ლეჩხუმში გასვენება მოხდება ორშაბათს 23 მაისს დღის 12 საათ. მექვენაში ღამის გათევის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ სოფ. ახალჭალას, სადაც დაკრძალულ იქნება გელოვანთა საგვარეულო აკლდამაში ოთხშაბათს, 25 მაისს დღის 12 საათზე. (2—191—2)

19 მაისს მოულოდნელად და ტრაღიკულად გარდაიცვალა

## მარიამ გიორგის ასული ქავჟარაძისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ძმები მისი **დეკანოზები ნიკოლოზ და ვასილ ნათიძეები—თვისი მეუღლებითა და შვილებით და და მისი კნეინა ელისაბედ გიორგის ასული ანდრონიკაშვილისა—თვისი მეუღლითა და შვილებით.**
პანაშვიდები ყოველ დღე მიხეილის საავადმყოფოში საღამოს 6 საათზედ. გამოსვენება საავადმყოფოდან სამშაბათს, 24 მაისს, დილის 9 საათზედ, წმინდა ნინოს ეკლესიაში. წირვისა და ანდერძის შემდეგ დაკრძალულ იქნება ამავე ეკლესიის სასაფლაოზე.
1—194—1

დ. ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებლები გულდათუთქულნი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას და დაუვიწყარ თანამოსამსახურის, ამხანაგის

## მიხეილ პიმენის-ძე რატიანის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
(2—190—2)

## „ახალი კლუბის“ ბაღში

კვირას, 22 მაისს, 1916 წელს,

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

# დიდი სახალხო სეირნობა

## ლატარია ალეგრით

(წმ. შემოსავლის 10% გადაიდება ქართველ მოღვაწეთა პანთეონისათვის)
გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, ყვავილები ფოსტა, რგოლების სროლა, ტუმბო და სხვა. საბავშვო გასართობები, კიოსკები წიგნებისა, სეირნობის დროს დაუკრავს ორკესტრი და საზანდარი.
**დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზე.**
შესასვლელი ფასი დიდებისათვის 40 კაპ. პატარებისათვის და მოწაფეთათვის 25 კაპ. 3—98—3

**კვირას, 22 მაისს, ქართულ კულტ. მოყვარ. საზოგადოების თაოსნობით პატივსაცემლად განმეორდება**

## შიო მღვიმელის— საბავშვო დილა

იმავე პროგრამით, როგორითაც გაიმართა 14 თებერვალს სახაზინო თეატრში
ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში.
(100) ფასები ჩვეულებრივია.

## სახალხო სახლი

**სამშაბათს** 24 მაისს ქართ. დრამ. დასის მსახიობთა ამხანაგობის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# ედმონდ კინი

ტრაღ. 5 მოქ. ალ. დიუმასი, თარგმ. ვ. გუნიასი.
**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ბეჟანიშვილი ს., ვლ. ალ.-მესხიშვილი, აბაშიძე ვ., გუნია ვალ., გომელაური ზაქ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ალ., ზარდალიშვილი ი., მამფორია ილ., კორიშელი პ., ვარვარიძე, ვ., ჩაგუნავა ნ.
**წარმოდგენის დასაწყისი** საღ. $8^{1}/_{2}$ ს. ✦ რეჟისორი **ვლ. ალ.-მესხიშვილი.**
ადგილების ფასი 30 კ.-დან 2 მ. 40კ.-მდე. (2-97-1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131)

**კვირას,** 22 მაისს, 1916 წ. **რუსულ ენაზე წარმოდგენილი იქნება**

## ოპერეტტა

ბეგთაბეგოვისა კავკასიის ცხოვრებიდან
მონაწილეობენ ქ-ნი: კუზნეცოვისა, ბბ. დავიდოვი, იერმაკი, პეტროვსკი და სხ.
— ბაღში დაუკრავს დუდუკი —
**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**
1—105—1 **წარმოდგენაზე დასწრება უფასოა.**

## ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 23—29 მაისამდე.
**ორშაბათი**—სინემატოგრაფი. შემდეგ სიმფონიური კონცერტი.
**სამშაბათი**—ოპერეტკა
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი. შემდეგ სიმფონიური კონცერტი.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა. შემდეგ—სამხედრო ორკესტრი.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი. შემდეგ სიმფონიური კონცერტი.
**შაბათი**—კონცერტი, სიმფონიური ორკესტრისა მ. ა. ვოლფ-იზრაილის ლოტბარობით. მონაწილეობენ: სოლისტი-სკრიპაჩი ბელსკი—და არტისტი რუსულ ოპერისა ვ. ა. ნიკოლსკი.
**კვირა**—სინემატოგრაფი. მორჩენისას სამხედრო ორკესტრი.
დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე. სინემატოგრაფისა— და სპექტაკლებისა $8^{1}/_{2}$ საათზე.
კლუბში შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. სამშაბათს და შაბათს შესასვლელი ფასი: მამაკაცისა 1 მ.—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში)65 კ. გასარ-თობებზე დასწრება უფასოა. (1—193—1)

## ახალი კლუბი

კვირას, 22 მაისს

## ქრისტეფორე (ჩიტო) კაკაბაძე

ქართულად წაიკითხავს **ლექციას** „ისტორია საქართველოს-

## ავტოკეფალურ ეკლესიისა“

დასაწყისი შუადღის 12 ნახევარ საათზე
ბილეთები იყიდება „საქართველოს“ რედაქციაში, 10—2 საათამდე, ხოლო ლექციის დღეს ახალ კლუბის შესავალთან, დილის 10 საათიდან.
**ბილეთის ფასი 50 კ.-დან 3 მანეთამდე** გამგე **სანდრო შანშიაშვილი**

## საუკეთესო კახური ღვინის საწყობი ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

## ვაგზლის სამკურნალოში

## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126— )

**კბილის ექიმმა**

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**

ექიმი

## ა. დ. შაჰპაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**დ. ზესტაფონში**

## ექიმი დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი,** 17—21.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

✦ **პროვიზორის ახვლედიანისა** ✦

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, **რაზიეზდის ქუჩა, № 19.**

## სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—6)

# ახალი ბანკი

## კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის

**საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ თანახმად პროვინციების განყოფილებათა შუამდგომლობისა, აღნიშნულ ბანკის**

## აქციების ფულისმიღება გაგრძელდება 20 მაისამდის

**მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი**

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

✦ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ✦

## კახური ღვინო

**განოვის ქუჩა № 4.**
——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———
(185—წ.)

## აბასთუმანი

## სასტუმრო „მინერალნია ვოდი“

გვაქვს კარგათ მოწყობილი 50 ოთახი და ვაძლევთ სეზონით და დღიურათაც.
სასტუმროს აქვს საუკეთესოდ მოწყობილი რესტორანი. მსურველთ შეუძლიათ დაიქირაონ წერილობით და დეპეშითაც. ქირა ზომიერია. შედარებით სხვა ადგილებზე, აბასთუმანში იაფია ყველაფერი.
(8-163-6) სასტუმროს პატრონნი **ჩიკვაიძე და გეგიაძე.**

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 19 მაისი. ოფიციალი.
**დასავლეთი ასპარეზი.** მტრის არტილერია ამოქმედდა იქსკიულის მიმართულებით. 19 მაისს გერმანელებმა ღამის 3 საათზე თოფი, ტყვიისმფრქვეველები, ყუმბარისმფრქვეველები, მძიმე და მსუბუქი არტილერია აამოქმედა სად. ნეი-ზელბურგის სამხრეთით და იაკობშტადტის ჩრდილო-დასავლეთით. გერმანელები სამჯერ შეეცადნენ წინ წაწევას, მაგრამ სამჯერვე არტილერიის საშუალებით თავიანთ თხრილებში გადავრეკეთ. დილის 7 საათზე სროლა ცოტათი შესწყდა. სად. ნიცვალის პირდაპირ, დვინსკის ჩრდილოეთით ყაზახები მტერს თავს დაესხა დვინის მარცხენა ნაპირს. მტრის არტილერია დვინსკისაკენაც ამოქმედდა. 19 მაისს, ღამე მკაცრი საარტილერიო სროლის შემდეგ მტერმა სმორგონის დასავლეთით იერიში მოიტანა სოფ. სუცკზე, მაგრამ უკუვაგდეთ. სად. ბუსლავთან, ვილეიკის ჩრდილო აღმოსავლეთით მტრის მფრინავმა 6 ყუმბარა ჩამოაგდო.
**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

—

**პარიზი.** 19 მაისი. საღამოს ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირზე, ავოკურის ტყის და მორტჰომის ფერდობებში საარტილერიო ბრძოლაა. მდინარის მარცხენა ნაპირზე ტიომონის ხაზზე საარტილერიო მზადების შემდეგ მტერი ჩვენს სანგრებზედ იერიშებით წამოვიდა და მცირე ხნის შემდეგ ხელთ იგდო დუომონის და ვოს ტბის შუა ჩვენი თხრილები. ასპარეზის სხვა და სხვა ადგილებში ჩვენი ცეცხლის—მფრქვეველები მოპირდაპირეს დიდ ზიანს აყენებდნენ. დანარჩენ ადგილებში არტილერია საშუალოდ მოქმედობდა. დღისით, გერმანელმა მფრინავებმა ქალაქ ბარლედიუკზედ ყუმბარები ჩამოჰყარეს. მოკლულია 18 კაცი, დაჭრილია 25, მათგან 6 ქალი და 11 ბავშვი. გერმანელთა საფრენი მანქანა „ავიატიკი“ იძულებულ იყო ტულის (ბერნეკურის ხაზი) მიდამოებში ჩამოშვებულიყო. ორი გერმანელი მფრინავი დავატყვევეთ.

**რომი,** 19 მაისი. იტალიის ცნობა. 19 მაისს, ლაგარინის ველებში საარტილერიო ბრძოლა მოხდა. პასუბიოს მიდამოებში ორივე მხარის არტილერია მხნედ მოქმედობდა. სასტიკი იერიშები გაიმართა ფორნიალტის მიმართულებით, რომელიც ალპიელმა მსროლელებმა მოიგერიეს. პოზინოს და ზემო ასტიკოს შუაც უსაშინელესი საარტილერიო ბრძოლაა. დღისით, მოპირდაპირეთა ჯგუფი მონტე-სპინის მიმართულებით იერიშებით წამოსვლას შეეცადა, მაგრამ იერიში მალე შევაჩერეთ. მეორე ჯგუფი მოპირდაპირისა, რომელიც სანტუგალდოს (არსიეროს სამხრეთ-აღმოსავლეთით) მიმართულებით წამოვიდა გავანადგურეთ და პოზინოსკენ უკუვაგდეთ. სეტტეკომანის მხარეს კამპომულოს ველში მტერმა ჩვენი სანგრები შეავიწროვა. სუგანოს ველებში მდგომარეობა უცვლელია. ზემო ბუტში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა. იზონცოს ნაპირებზე ჩვენმა რაზმებმა მხნეობა გამოიჩინეს. 18 მაისს, ჩვენმა მფრინავებმა ასის ველებში ყუმბარები ჩამოჰყარეს.

**პარიზი,** 20 მაისი. ოფიციალი ცნობა. არგონებში, ივოკურის, კურტმოსეს და ფილმორტის ფერდობებში ხელის ყუმბარებით მოქმედობენ. მაასის მარცხენა ნაპირზე, კორეტის ტყის სამხრეთით და კიუმერის შუა ჩვენმა ჯარმა 100 ადლით წინ წაიწია. გერმანელებმა იერიშები სცადეს, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლამ დაჟინებითი ხასიათი მიიღო ტიომონ-დუომონის მიდამოებში. აქ გერმანელთა იერიშები მოვიგერიეთ. დუომონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერმა კაიეტის ტყის ნაწილი დაიჭირა. მარჯვენა წვერზე გერმანელთა იერიშები ვოზე მალე მოვიგერიეთ. ამ ბრძოლაში არტილერია დიდად მოქმედობდა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

## სახაზინო თეატრი

დრამატიული ანსამბლი ა. ვ. პოლონსკის ანტეპრიზა. კვირას, 22 მაისს

გასტროლი საიმპ. თეატრ. არტის. **ა. ი. იუჟინისა**

და საიმპ. თეატრ. არტ. ქალი **ა. ა. ლევშინისა**

მესამედ პიესა 5 მოქ.

### „ღ ა ლ ა ტ ი“

ავტორის პირად მონაწილეობით და ხელმძღვანელობით.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_4$ საათზე.**

ორშაბათს. 23 მაისს, ქ-ნ ა. ა. ლევშინის საბენეფისოდ დაიდგმება 4 მოქ. პიესა თ-დ სუმბათაშვილ-იუჟინისა, ავტ. მონაწილეობით და ხელმძღვანელობით

### „ბ ო რ კ ი ლ ე ბ ი“

შემდეგ წარმოდგენებში მონაწილეობას ღებულობენ: ა. ი. იუჟინი და ა. ა. ლევშინისა. 24 მაისს — „ცეცხლის რგოლი“. ოთხშაბათს, 25 მაისს ლ. ა. შტენგელის საბენეფისოდ დაიდგმება „შიშა წყალი“, რომელიც საზოგადოებას ძლიან მოსწონს. (ეს პიესა უკანასკნელად იდგმება). (1—104—1)

## სახაზინო თეატრი

### იმპრესარიო ე. ნ. კონიუშკოვისა

**ოთხშაბათს, 2-ს და შაბათს 4 თიბათვეს**

### მხოლოდ ორი გასტროლი

მიხეილ მიხეილის ძე ფოკინისა და ბალერინა ვერა ფოკინისა, სხვა არტისტთა მონაწილეობით.

**დაიდგმება მხოლოდ მ. მ. ფოკინის ნაწარმოებნი.**

**2 თიბერვლის პროგრამა.**

1. არრაგონის ქოხი—მუს. მ. გლინკასი.
2. „ვაკხი“—ნ. ჩერეპნინისა.
3. „პოლოვეც-ცეკვა“—ა. ბოროდინისა
4. „მომაკვდავი გედი“—სენ-სანსისა.
5. ა) „ბედნიერება“, ბ) „ბრძოლა“, გ) „სევდა“ — პოლონეთის თავგადასავლიდან. — შოპენის მუსიკა.
6. „Panaderos„—ა. გლაზუნოვისა.

**4 თიბათვის პროგრამა**

**სცენები მ. ფოკინის ბალეტიდან:**

1. „კარნავალი“, მუს. შუმანისა;
2. „შოპენიანა“, შოპენისა;
3. „ეგვიპტის ღამეები“, არენსკისა.

**მ. ფოკინის ხორეოგრაფიულ ნაწარმოებიდან:**

4. „პერსეი“, ა. ლადოვისა;
5. „აღმოსავლეთური ცეკვა“, ა. მუსორგსკისა;
6. „შემოდგომის ჰანგი“, ა. ჩაიკოვსკისა.

**სხვა ნაწარმოებნიც დაიდგმება.**

ტანისამოსი ლ. ბაკსტისა და ა. გოლოვინის ნახატების მიხედვით. ბილეთების გაყიდვა დაიწყება 25 მაისიდან წარმოდგენის დროს. (1—105—1)


**მფრინავთა მოქმედება:** ფრანგთა მფრინავები შეეტაკნენ გერმანელებისას, რომელნიც ბარ-დე-ლიუკიდან ბრუნდებოდნენ. ბრძოლის შემდეგ გერმანელთა ერთი საფრენი მანქანა ეტენთან ჩამოვარდა, მეორე „ფოკერი“ ბუჰონვილთან დაეშვა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ვერდენთან

„ტაიმსის“ კორესპონდენტი ყოფილა ვერდენში და ასე აგვიწერს თავის შთაბეჭდილებას: „მიხვეულ მოხვეული გზით შევედით ვერდენში, რადგან მთავარ ნაკეთებ გზას კლერმონიდან მიმავალს ვერდენში გერმანელები სეტყვასავით ყუმბარას უშენდნენ. როდესაც ვერდენში შევედით, ვიწრო ქუჩები მთლად ცარიელი დაგვხვდა, მხოლოდ ზოგიერთ ქუჩაში ყმუის მარტო დატოვებული ძაღლი. შორიდან მოისმის ზარბაზნების გრიალი. აქა-იქ ქალაქში სქდება ყუმბარები. გავიარეთ რამდენიმე უბანი, რომელნიც მოწინააღმდეგის ყუმბარებისგან მთლად განაცამტვერებულიყო.

გავემართეთ პირდაპირ ვერდენის სიმაგრისკენ. იმ დროს, როდესაც კომენდანტი გვიღებდა, მოისმა რაღაც საშინელი ყრუ გრიალი და ჰაერი შეირხა, თითქოს ქარიშხალმა დაუბერაო მოწინააღმდეგე ქალაქს ზარბაზნებს უშენდა. გერმანელები ანგრევდნენ მიტოვებულ შენობებს, მაგრამ ზარალი ნაკლები იყო, ვიდრე გამოსროლილ ყუმბარების ღირებულობა.

საშუალოდ გერმანელები დღეში 450 ყუმბარას ისვრიან და როდესაც გაბრაზებულნი იბრძვიან მაშინ დღეში 1000 ყუმბარამდე აღწევს. თითო გამოსროლილი ყუმბარა უჯდება—2000—4000 მარკამდე. სადაც კი ყუმბარა დაეცემოდა, ექვს სართულიანი შენობა ფერფლად იქცეოდა ხოლმე. ჩემს იქ ყოფნის დროს გერმანელებმა 30000 ყუმბარამდე გამოისროლეს,

### დასავლეთის ასპარეზი.

დასავლეთ ასპარეზზე სიწყნარე ჩამოვარდა და არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ეს კი იმას არ ჰნიშნავს რომ ამ ადგილებში სრულებით არა ყოფილა შეტაკება. აქ ხშირად მკაცრი ბრძოლაც მომხდარა, მაგრამ, მათ კერძო, მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ, რამაც საქმის მდგომარეობა ვერ შესცვალა. დალენის სამხრეთით და დასავლეთით მოქმედება გაცხოველდა. აქ გერმანელებმა სამჯერ სცადეს იერიშებით წამოსვლა, მაგრამ ამაოდ. იერიშებით წამოვიდნენ აგრეთვე სოფ. ოსტროვკის მიდამოებში ნაროჩის ტბის ჩრდილო ნაპირზე.

რაც შეეხება პრიპიატის ჩრდილო ნაწილებს, იქ ჩვეულებრივი ბრძოლაა. ხოლო სამხრეთით და დასავლეთით არტილერიას და თოფს ამოქმედებენ.

### საზღვაო ბრძოლა.

ოქსელეზუნდან (შვეცია) იტყობინებიან: 15 მაისს, ზღვიდან ზარბაზნების საშინელი გრიალი ისმოდა. როგორც ხმები დადის, გერმანელთა გემი შეჰხვდა ინგლისელების წყალქვეშას და სროლა აუტეხა. ამბობენ: ჰეფრინგე და ლანდსორტომის შუა ზღვაზე ბრძოლა მომხდარა, რომლის ცნობებიც დღემდე არაა გამორკვეული.

### კავკასიის ასპარეზი

ტრაპიზონის სამხრით-დასავლეთით რუსებმა ოსმალთა იერიშები მოიგერიეს და გიუმინ-შაჰის მიმართულებით ახალი თხრილები დაიჭირეს. ბაიბურთისა და ერძინჯანის მიმართულება მთელი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა შტაბის ცნობებში მოხსენებული.

დიარბექირის მიმართულებით რუსთა მცირე რაზმები მოპირდაპირეთ შეეჯახნენ, ბითლისის მიდამოებში კი ხანგრძლივი სიჩუმეა. ახლა ოსმალთა ყურადღება ბრძოლის მარცხენა ხაზზეა მიქცეული, რადგანაც ამ გზით რუსები მესოპოტამიისკენ იწევენ.

რევანდუზ-მოსულის გზებზე ოსმალებმა უშედეგო იერიშები მოიტანეს...

### ამბოხება მექსიკაში

ნიუორკიდან, გაზ. „Kölnische Zeitung“-ის კორესპონდენტი იუწყება მოკლე ხანში მექსიკაში დიდი ამბებია მოსალოდნელი.

ამბოხების ჩასაქრობად ჩრდილო შეერთებულმა შტატებმა მექსიკის საზღვარზე 10,000 კაცს მოუყარეს თავი. ამბობენ: მექსიკა პოლიტიკური კრიზისს განიცდისო. გერმანეთი დიდ ყურადღებას აქცევს მექსიკის შინაურ საქმეებს.

### ზავის შესახებ

თუ სტოკჰოლმის გერმანოფილურ გაზეთს „Aftonblaet“-ს დავეთანხმებით საზავო მოლაპარაკების საქმე კარგად მიდის. პაპი მხურვალე მონაწილეობას იღებს ზავის ჩამოგდებაში, რომელსაც ესპანეთის მეფე ალფონსი დახმარებას შეჰპირდა თუ ამ საქმეში პრეზიდენტი ვილსონიც ჩაებმება. ამ მიზნით შეერთებულ შტატებში გრაფი ბიულოვი გაემგზავრა, რომელსაც იმედი აქვს საქმის კეთილად დაგვირგვინებისა.

### იტალიის ასპარეზი.

იტალიის ასპარეზზე ავსტრიელები სამი გზით იწევენ წინ: ვერონაზე ადიჯეს ველით, ვიჩენცოზე არსის და პოზინოს ველებით და ბასანოზე მდ. ბრენტის ნაპირებით. იტალიელები უკან იხევენ და სიმაგრეებსა სცლიან. ზარბაზნებს, რომლის გადატანასაც ვერ ასწრობენ ანადგურებენ. ბოლო ხანებში ავსტრიელთა 20 დივიზიას 18 დივიზია მაშველი ჯარი მიემატა.

### ვერდენთან.

„რუსკ. ვედ.“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: ვერდენის ბრძოლამ უკასტიკესი ხასიათი მიიღო. გერმანელებმა ახალი ძალები მოიშველიეს და ენერგიული მოქმედება დაიწყეს. აქ საქმის მეთაურობა მხოლოდ გერმანელებს კი არ ეკუთვნით, ფრანგებმაც გაახშირეს იერიშები მაასის მარჯვენა ნაპირზე. მთელი კვირის განმავლობაში გერმანელებს იერიშები მოჰქონდათ მაასის ასპარეზზე, ხოლო დიდი მხნეობა გამოიჩინეს მორტჰომის მიდამოებში, სადაც 8 მაისიდან სამს დივიზიაზე მეტი მოქმედობს. ბრძოლამ 11 მაისს ღამით უკიდურესობამდე მიაღწია, რის შემდეგაც მისი დაჟინებითი ხასიათი შეიცვალა. ამავე დროს გერმანელებმა აიღეს სახელოვანი დაბა კიუმერი და მის სამხრეთით მდებარე თხრილები. მაასის მარჯვენა ნაპირზე მოქმედების ინიციატივა ფრანგების ხელშია. 8 მაისს დაიჭირეს ოდრემონის მაღაროები. პირველად ფრანგებმა შესამჩნევად შეავიწროვეს გერმანელები და დუომონის ფორტის ჩრდილოაღმოსავლეთის ნაწილები დაიჭირეს, მაგრამ გერმანელებმა ბრძოლაში სულ ბავარიელთა მეთერთმეტე ახალი დივიზია ჩააბეს და სიმაგრე უკან დაიბრუნეს.

### სამხედრო საბჭო სტამბოლში.

ოსმალეთის საქმის გამოსაკეთებლად კაიზერმა მაკენზენი სტამბოლში გაგზავნა. მან სტამბოლში სამხედრო საბჭოს კრება მოიწვია. საბჭოში მონაწილეობდნენ: ხონთქარი, მაკენზენი და ანატოლიიდან გამოწვეული გენ. სანდერსი. შვედური გაზეთი „Daq. Nuh“-ი ამბობს: თათბირზე გადასწყვიტეს დიარბექირ-ტ[illegible]აპიზონისკენ მოქმედება შესუსტონ და მისი ჯარი მოსულბაღდადს მიაშველონ. ამ გარდაწყვეტილებაზე გენ. სანდერსმა თავისი გულისწყრომა გამოსთქვა.

### გერმანეთის ფლოტი.

გაზ. „Times“-ი სწერს: გერმანელთა ფლოტის მოქმედებაზე ორნაირი აზრი არსებობს. პირველი: გერმანეთის ფლოტი ინგლისის ნაპირებზე დაიწყებს მოქმედებას, მეორე აზრია: იგი ნიუპორტში გადმოსხამს ჯარს, რითაც მოპირდაპირეებს მარცხენა პირს მოუქრის. ჩვენ არა გვჯერა რომ გერმანეთის ფლოტი ინგლისისაკენ დაიწყებს მოქმედებას. ეს მეტად ძვირად დაუჯდებათ გერმანელებს, რადგანაც თვითეული გემი რამდენიმე ათას მეომარსა მოითხოვს. ნიუპორტში მოქმედება, შედარებით ხელსაყრელია, რადგანაც უფრო იაფად დაუჯდებათ.

### გერმანეთი თავის ჯარის რაოდენობაზე.

ქ. შუმსკის გაზ. „ბირჟ. ვედ.“ მოჰყავს გერმანეთის შტაბის ცნობა, მათი ჯარის რაოდენობაზე. გერმანელები ირწმუნებიან, რომ მათი ძალა კიდევ ძლიერია და რამდენიმე ათი წელიწადია საჭირო, რომ იგი შესუსტდეს. ამის დასამტკიცებლად, გერმანელებს სტატისტიკური ცნობა მოჰყავთ, სადაც ამტკიცებენ, როგორც ჯარის ზარალს, აგრეთვე მის ზრდას. თუმცა ბ. შუმსკის არა სწამს გერმანეთის შტაბის ცნობა, რომლის გაბათილებასაც ცდილობს, მაინც საჭიროდ სთვლის ამ ცნობას ანგარიში გაუწიოს. გერმანელების ცნობით 1 ქრის. 1915 წ. გერმანეთმა 1.071.000 ჯარის კაცი დაჰკარგა; წელიწადში 804.000 კაცი მოდის. ყოველ წლივკი ჯარში 780.000 კაცს იწვევენ, ამათში 80% საღია, მაშასადამე ყოველ წლივ ჯარს 624.000 კაცი ემატება. ყოველ წლის დანაკლისს 804.000 კაცს. რომ ჯარის ზრდა 624.000 გამოვაკლოთ, დაგვირჩება 180.000 კაცი. მაშასადამე წელიწადში მხოლოდ 180.000 კაცსა ჰკარგავს გერმანეთი.

თავის ძალას ასე ანაწილებს გერმანეთის შტაბი: 4.000.000 ჯარის კაცი მომქმედი და 3.000.000 სათადარიგო. მათი მტკიცებით 5 წლის შემდეგ გერმანეთს 6 მილიონი ჯარი კიდევ ეყოლება, ათი წლის შემდეგ 5 მილ., 20 წლის შედეგ $3^1/_2$ მილიონი და სხვა. გერმანელების განცხადებით ჯარს არ უბრუნდება მხოლოდ 10,9 პროც. დაჭრილი ჯარის კაცი, დანარჩენ დაჭრილთ მკურნალობის შემდეგ ისევ საბრძოლველად გზავნიან.

### საბერძნეთ-ბულგარეთი.

როგორც „რუსკ. სლოვოს“ პარიზიდან ატყობინებენ: რუპელის სიმაგრის აშენება, საბერძნეთის ხაზინას 15 მილიონი დრაჰმა დაუჯდა. დღეს იგი ბულგარელ-გერმანელებმა მძიმე არტილერიით გაამაგრეს და ადვილად არავის დაუთმობენ. ბულგარეთის შტაბის ცნობა, კანალის, დრამისა და სერესის ოლქებში შესევას აღნიშნავს. გაზ. „Matin“ დიდად შეაფიქრიანა საქმის გარემოებამ და შეჰნიშნავს: ბერძნებს და ბულგარელებს რუპელის აღებამდე საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდათო.

ამ აზრს ბულგარეთის პრესაც ადასტურებს და თუ საბერძნეთმა გულისწყრომა განაცხადა, ეს მხოლოდ გარეგან ფორმის დაცვაა.

## ბრძოლის ველზე

ვერდენის გარშემო დიდი რამ ცვლილება არ მომხდარა. ცოტად ფრანგთა ჯარებმა ნახეს გამარჯვება და მაასის მარცხენა ნაპირზე ასი მეტრით წაიწიეს კორეტის ტყის სამხრეთით თვით ტყისა და კიუმიერის შუა. სამაგიეროდ გერმანელებმა მარჯვენა ნაპირზე წაიწიეს დუომონის ფორტის სამხრეთაღმოსავლეთში კაეტის ტყეში და თითქმის ვოს ტბამდინ მიაღწიეს.

რუსეთის ასპარეზზე თვალსაჩინო არა მომხდარა-რა. რაც შეეხება კავკასიის ასპარეზს, დღევანდელ მოხსენებამ მხოლოდ მოკლედ აღნიშნა „მდგომარეობა უცვლელიაო“. მდგომარეობის უცვლელობა საგულისხმიეროა. სჩანს, ოსმალნი იერიშებს ავითარებენ.

დანარჩენ ფრონტიდან ისევ იტალიის ასპარეზია ყურად საღები. ავსტრიელები შეტევას განაგრძობენ და დღეს თითქმის თავიანთი ტერიტორია გასწმინდეს და ბრძოლა ახლა იტალეთში გადაიტანეს.

იმ დროს როდესაც ხმელეთით ქვეყნიერება ირყევა ზარბაზანთა გრიალით, ზღვაზეც თვალსაჩინო ამბები მომხდარა. გერმანელთა და ინგლისელთა ესკადრა შესტაკებია ერთმანეთს. ბრძოლამ მთელი დღე გასტანა 18—19 მაისამდე. რომელ მხარეს რა ზარალი მოუვიდა, ჯერ გამოურკვეველია. აღნიშნავენ კი, რომ ორთავე მხარე საგრძნობლად უნდა დაზარალებულიყვეს.

X.

## თბილისი, 22 მაისი.

**ზავის მოლოდინში**

ბოლო დროს ევროპაში ხელახლა გახშირდა ზავზე ლაპარაკი. მებრძოლ მხარეების ორმა გამოჩენილმა ხელმძღვანელმა, გერმანეთის კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ გრეიმ საჯაროდ გამოსთქვეს თავისი შეხედულებები ზავის პირობებზე. იმპერიის კანცლერის ენა უფრო ლაკონიური და ენერგიულია, როგორც ეს შეეფერება ადამიანს, რომელსაც ორი წლის განმავლობაში გამარჯვებულის პოზა აქვს შეთვისებული. დიდი ბრიტანიის მინისტრი კი უფრო დიპლომატიურად უვლის საგანს.

ბეტმან-ჰოლვეგი ამბობს რომ მშვიდობიანობის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე ევროპის რეალური რუქის მიხედვით. ამ რუქაზე კი, როგორც ვიცით, აღარ არსებობს არც ბელგია, არც სერბია, და არც მთაშავეთი, ხოლო რუსეთის პოლონეთი და ჩრდილო საფრანგეთი ცენტრალურ სახელმწიფოების ტერიტორიასთან არის შეერთებული. ევროპის ამგვარი გადამიჯვნა გერმანეთის ჰეგემონიის საბოლოოდ განმტკიცება იქნებოდა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობას თავდაყირა გადაატრიალებდა.

ცნობილია რომ ეს ურთიერთობა დღემდე დამყარებული იყო არა ჰეგემონიის არამედ ძალთა თანასწორობის იდეაზე. ამ იდეას იცავს ედუარდ გრეი თავის საუბარში, რომელიც მას ამ რამოდენიმე დღის წინად ერთი ამერიკელი გაზეთის თანამშრომელთან ჰქონია. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ამტკიცებს, რომ მის სამშობლოს აზრადაც არ აქვს მთლიანი და თავისუფალი გერმანეთის განადგურება. ინგლისი ჰკუაზე არ შემცდარა. პოლიტიკური მეცნიერება გვასწავლის რომ ეროვნული სულის მოკვლა არ შეიძლება უცხო დესპოტიზმით. როცა პანგერმანისტული ოცნებები გაჰქრებიან, გერმანელი ხალხი აიძულებს თვის მთავრობას აღიაროს პრინციპიერთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა.

ამ ორი განცხადების დაპირისპირებისაგან ნათლად სჩანს, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში გერმანეთის მოთხოვნილებები საგრძნობლად გაზრდილა, ხოლო ინგლისის შემცირებულა. გაზეთების ცნობების მიხედვით ამ ნახევარი წლის წინათ გერმანეთი კიდევ მზად იყო გაენთავისუფლებინა არა მარტო ჩრდილო საფრანგეთის კანტონები, არამედ ბელგიაც ზოგიერთი სტრატეგიული პუნქტის გამოკლებით. არსებითად ის კმაყოფილდებოდა აღმოსავლეთისა და სამხრეთის ასპარეზზე მიღწეული რეზულტატებით. მაგრამ მაშინ შეთანხმების სახელმწიფოები უფრო შეურიგებელ პოზიციაზე იდგნენ: არა მარტო უპასუხისმგებლო მგოსნები და პუბლიცისტები, არამედ პასუხის მგებელი სახელმწიფო მოღვაწეებიც ხმა მაღლა გაიძახოდნენ რომ ომი აუცილებლად გერმანეთის იმპერიის დაშლით და დანაწილებით უნდა დამთავრდესო.

მართალია უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში სტრატეგიული მდგომარეობა რადიკალურად გერმანეთის სასარგებლოდ არ შეცვლილა, მაგრამ ჯერ ჯერობით არც შეთანხმების სახელმწიფოებს მიუღწევიათ თვალსაჩინო რეზულტატებისთვის. ხანგრძლივი ომი ორივე მხარესთვის ერთნაირად სახიფათო აღმოჩნდა. საკვები მასალა მარტო ბერლინში და ვენაში როდი ძვირდება, ცოცხალი ძალა მარტო გერმანელებსა და ავსტრიელებს როდი ეშრიტებათ. თუ სატახტო გაზეთებში მოყვანილ ცნობებს დავუჯერებთ გერმანელთა არმია წლიურად 800,000 კაცამდე ჰკარგავს ბრძოლის ველზე მოკლულთა დატყვევებულთა და დასახიჩრებულთა სახით, სამაგიეროდ 620.000 კაცს იძენს ხელახალი გაწვევის შემწეობით; ამგვარად მისი აბსოლუტური დანაკლისი 180.000 კაცს უდრის. რადგან გერმანელთა ჯარის დღევანდელი რიცხვი ვარაუდით შვიდ მილიონამდე უნდა აღწევდეს, ოცი წელიწადი მაინც არის საჭირო, რომ ეს ჯარი განახევრდეს. მართალია გერმანეთი დიდს „სარსუსათო კრიზისს“ განიცდის, მაგრამ ასეთი კრიზისი სხვაგანაც იჩენს თავს. რუსეთში უკვე დაიწყეს ლაპარაკი „საქარტო სისტემის“ შემოღებაზე, ე. ი. სანოვაგის იმგვარ განაწილებაზე, როგორც გერმანეთში ომის დაწყებისთანავე შემოიღეს...

გასაკვირალი არ არის რომ ასეთს მდგომარეობაში „ხანგრძლივი ომის“ იდეა თან და თანა ჰკარგავს ნიადაგს.

## დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე გერმანელებმა ყველა ყალიბის ზარბაზნები იაკობშტადტის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაუშინა.

—

დვინსკის მიდამოებში მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა.

—

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: ბერლინის საზღვაო შტაბი იტყობინება: ღამე, 18 მაისს, ინგლისელ-გერმანელთა საზღვაო შეტაკება მოხდა. გერმანეთის გემები „ვისბადენი“, „პომერნი“ და „ფრაუენბლოში“ და რამდენიმე ნაღმოსანი დაიღუპა. მათივე ცნობით ინგლისელებმა დაჰკარგეს ხუთი გემი და რამდენიმეც დაზიანდა.

—

ვერდენის ასპარეზზე გერმანელები დუომონ და ვოს შუა შეიჭრნენ. სხვა ადგილებში ბრძოლაა,

—

გერმანელები დუომონთან კაიეტის ტყეშიც შეიჭრნენ და ვოს ტბამდე მიაღწიეს.

—

ბერლინიდან იტყობინებიან: ლიბკნეხტს ღალატის ბრალდება წარუდგინეს. მას სულ ცოტა ათი წლის კატორღა მოელის.

## დეპეშა

(საკ. კორესპ.)

**მიხაილოვი.** ხუთშაბათს საღამოთი მოჰკლეს გიმნაზიის მასწავლებელი **რატიანი.**

გ. ნაკაშიძე.

## სომხების ყრილობა

(საკუთარის კორესპონდენტ.)

**მესამე დღე.**

კრება კვლავ სომხურ ენაზე სწარმოებს და უცხოელი პრესის წარმომადგენლები მეტად უხერხულ მდგომარეობაში ვართ, რადგან ყველაფერი არ გვესმის და იძულებული ვხდებით სავსებით დავენდოთ იმ თარჯიმანებს, რომელნიც საორგანიზაციო კომიტეტის მიერ არიან ჩვენთან დანიშნული.

ჩემი თარჯიმანი ეტყობა ძრიელ მხიარული კაცია და მეტ წილად თავის შთაბეჭდილებათ უფრო მიზიარებს, ვიდრე მოლაპარაკეთა სიტყვებს.

ეტყობა კრებამ უფრო საქმის ხასიათი მიიღო, ვიდრე პირველ კრებებზე იყო, რადგან ვისმენ გაცხარებულ კამათს, ვხედავ აღელვებულ სახეებს და ჩემი თარჯიმანის საშუალებით ვიტყობ, რომ კამათის საგანი კრების ერთ უმწვავეს საკითხს შეეხება, სახელდობრ, სად უნდა იყოს მომავალი ცენტრალური ორგანო. ეს საკითხი გუშინაც ირჩეოდა, მაგრამ უკვე შევატყობინეთ, რომ სექცია ვერავითარ დასკვნამდის ვერ მივიდა და საერთო კრებას გადასცა, რომელსაც ხუთი კაცისაგან შემდგარმა კომისიამ თავისი მოსაზრება უნდა წარმოუდგინოს.

უმცირესობის და უმრავლესობის მოსაზრებანი თითქმის იგივეა, რაც სექციის კრებაზე იყო გამოთქმული. ზოგი ამტკიცებს, რომ კომიტეტი ან თბილისში ან აზრუმ-ეჩმიაძინში უნდა იმყოფებოდეს, რომ საქმესთან ახლო იყვნენ და დახმარებაც დაუყონებლივ აღმოუჩინონ დაზარალებულთო. პეტროგრადის მომხრენი კი ამბობენ, რომ კავკასიის სომხობაში ახალი ძალები აღარ არიან და ძველნი კი ყველანი საქმეზე არიან მიჩენილი. პეტროგრადის, მოსკოვის, როსტოვის და რუსეთის სხვა ქალაქებში მყოფი სომხები სრულებით არ არიან გამოყენებული და მათი „მობილიზაცია“ უნდა მოხდესო.

უმთავრესი მიზეზი კი, რასაკვირველია, ის არის, რომ პეტროგრადის კომიტეტი ახლოს იქნება მთავრობასთან და ადვილად განახორციელებს სომხების შუამდგომლობას.

აღსანიშნავია, რომ პეტროგრადის მომხრენი აღმოჩნდნენ ოსმალეთის სომხებიც.

ეს საკითხი იმდენათ „რთული“ აღმოჩნდა რომ ვერც საერთო კრება მივიდა ერთ დასკვნამდე.

კრებაში დიდი აღელვებაა. აღებულ ნებართვით, კრება დღეს უნდა დაიხუროს, მაგრამ შუამდგომლობაა აღძრული, რომ კიდევ ორი დღე გაგრძელდეს.

მთავრობის დასტური ჯერ კიდევ არ არის მოსული და კრება მოუთმენლათ ელის, რადგან არ იცის გადავიდეს შემდეგ საკითხებზედ, თუ საბოლოოთ გადასწყვიტონ გარჩეული კითხვები, პაპაჯანოვი სიხარულით ატყობინებს კრების წევრთ, რომ მთავრობამ შეიწყნარა მათი თხოვნა და ნება დართო კიდევ ერთი დღით გააგრძელოს თავიანთი მუშაობა. მაგრამ ორი დღის მაგიერ მხოლოდ ერთი დღე,— ბევრს არაფრად მოსწონს.

კრება ახალ საკითხებს უბრუნდება და ისმენს სექციების მუშაობას. ყურადღებას იქცევს ის ადგილი, სადაც სომხების ტყვეთა შესახებ ლაპარაკობენ.

ჩალხუშიანის და მრავალ სხვათა გამოქვეყნებულ ცნობებით ირკვევა, რომ ტყვე სომხების მდგომარეობა რუსეთში უფრო ცუდია ვიდრე გერმანელების და ოსმალების.

ოსმალეთში მათ რუსების ქვეშევრდომებათ სთვლიან და სტანჯავენ.

რუსეთში ოსმალების ქვეშევრდომებათ და მოღალატეთ და ვინ იცის როგორ ექცევიან.

კრება ერთხმად ემხრობა მომხსენებლებს და აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს მათი მდგომარეობის გამორკვევას და საჭირო ზომების მიღებას კრება ცენტრალ კომიტეტს ავალებს.

კრება ავალებს განსაკუთრებულ კომისიას დაწვრილებით გამოარკვიოს ოსმალეთის მხეცური მოქცევანი სომხების მიმართ და დასაბუთებული ცნობები წარუდგინოს სენატორ კრივცოვის თავმჯდომარეობის ქვეშ მყოფ კომისიას.

სექციის მიერ წამოყენებული კითხვა გადმოხვეწილ ვაჭართა და მეურნეთა დახმარების შესახებ კრებამ უკა მათოთ მიიღო.

კამათი არ გამოუწვევია არც 27—30 მილიონ მან., რომელიც მთავრობამ უნდა გადასდოს გადმოხვეწილთა უკან დასაბრუნებლად. წამოყენებულ იქმნა ერთი კითხვა იმავ ჩალხუშიანის მიერ, რომელიც საჭიროდ სცნობდა ყოველი ზომები მიეღოთ, რათა გადმოხვეწილთა დატოვებულ მიწებისადმი უფლებრივი მდგომარეობა გამორკვეულიყო, მაგრამ რადგან კრებას მის გამორკვევა არ შეეძლო, საზოგადო სურვილით დაკმაყოფილდნენ და დაავალეს მომავალ ცენტრ. კომიტეტთან არსებულ საკონსულტაციო ბიუროს მიიღოს ზომები გადმოხვეწილთა ქონების დაცვისათვის.

ლ. ჯაფარიძე.

პეტროგრადი, 12 მაისი.

## ახალი ბანკი

უკანასკნელ დროს ძალიან ბევრსა სწერენ ახალი „კავკასიის სავაჭროსამრეწველო ბანკის“ მომავალზედ და განსაკუთრებული თანაგრძნობით ეკიდებიან მის აღმოცენებას ჩვენში. ეს ასეც უნდა იყოს. რასაკვირველია, რადგან ყოველ ეკონომიურ ორგანიზაციას და მით უფრო ასეთ ორგანიზაციების განმავითარებელ ორგანიზაციას, შეგნებული ადამიანი თანაგრძნობით უნდა შეხვდეს, ნამეტნავად ვისაც გულწრფელადა სურს და სწამს რომ ეკონომიური აღორძინება ყოველგვარ აღორძინების დედაბოძია. ჩვენ ჯერ კიდევ დასაწყისში შევეგებენით სიხარულით ასეთ დაწესებულებას და ჟურნალ „კლდის“ ფურცლებზედ არა ერ-

თხელ შევხებივართ ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხს, მაგრამ მაშინაც გვაშინებდა და ეხლაც მეტად დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადავცვიდეთ. მაშინაც ვამბობდით და ეხლაც გვინდა გავიმეოროთ, რომ „მოსიყვარულეთა" გატაცება ძირითადი, საქციო თანხის გადიდებით—მეტად საფრთხილოა და საქმის წინამძღოლნი და გამგენი არ უნდა აჰყვნენ მარტოოდენ გულის ზრახვათ, თუ მკაფიოდ არა აქვთ გათვალისწინებული მოქმედების მთელი გეგმა. საქმე იმაშია, რომ ბანკისთვის, როგორც ფინანსიური დაწესებულებისათვის უფრო სახიფათოა ფულის სიჭარბე, ვიდრე ფულის სიმცირე და ჩვენს პირობებში, სადაც ვაჭრობა, მრეწველობა და საზოგადოდ საქმიანობა იმდენად ინტენსიურად არ არის განვითარებული, რამდენადაც შესაფერისია ჩვენი კულტურული დონესი,—შესაძლებელია დიდმა თანხამ ვერ მონახოს საკმაო კლიენტურა ფულის გასანაწილებლად. ის გარემოება, რომ ეხლა ბევრი ფული ტრიალებს, რომ ბანკის აქციებს აწყდება ხალხი და თხოულობს კიდევ და კიდევაო, სრულებით მაჩვენებელი არ არის ეკონომიური საფუძვლიანობისა, რადგან ფულის სიმრავლე გამოწვეულია ჯერ ერთი ომით და მეორეც, ბანკის სიმდიდრეს შეტანილი ფული კი არ შეადგენს, არამედ გამოტანილი და ამიტომ ყველა ბანკის კარებზედ უნდა ეწეროს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა—დაკარგულია". ამ მარტივი პრინციპით ხელმძღვანელობა მეტად განზომილი უნდა იყოს და თუ გაცემას ვერ მოახერხებს, ე. ი. მთელი თანხების დაბანდებას სხვა და სხვა საქმეებში, მისი ფული მძიმე ტვირთად დააწვება დაწესებულებასაც და აქციონერებსაც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარდა საქციონერო თანხისა, უეჭველია, ბანკი მოიზიდავს ბევრ სხვა თანხასაც და ეს გარემოება უფრო გაართულებს და გააძნელებს გაცემის პროცესს და მაშინ დაიბადება საკითხი ბანკის განთავისუფლებისა ფულისაგან (разгруженіе), რაც ბევრად უფრო საძნელო გახდება ჩვენს პირობებში (თუ რასაკვირველია არ დავივიწყებთ ეროვნულ მიზნებსაც), ვიდრე ფულის შეგროვება. ამიტომ ჩვენი ღრმა რწმენაა რომ პირვანდელი სამი მილიონის საქციო თანხა სრულიად საკმაოა ჯერ-ჯერობით და როდესაც თანდათანობით ოპერაციები გაიზრდება და აღმოჩნდება საჭიროება თანხებისა—მაშინ შესაძლებელია მიმართონ ხელმძღვანელებმა საქციო თანხის გადიდებასაც, კრედიტსაც და ათას'სხვა საფინანსო კომბინაციებს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს რომ კარგად, საფუძვლიანად და თანაგრძნობით დაწყებული საქმე ბოლომდის სიდარბაისლეს გამოიჩენს და არ აჰყვება სიხარულით გამოწვეულ მსუბუქ გულის თქმას.

რ. გ.

## თ-დი ალ. სუმბათაშვილი თანამემამულეთა შორის

ქართულ დრამატიულ საზოგადოების 18 მაისის კრება არა ჩვეულე რივ კრებად უნდა ჩაითვალოს. კრება დანიშნული საღამოს $8^1/_2$ საათზე. დიდი წვიმის გამო დაიწყო მხოლოდ მეთერთმეტე საათზე. 10 საათსა და 15 წ. ახალ კლუბში მობძანდა სასიქადულო მამულიშვილი თ-დი ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი ბორჩალოს მაზრის თავ.-აზნ. წინამძღოლის თ-დ მ. ა. სუმბათაშვილისა და ვალ. გუნიას თანხლებით. კლუბის კარის ბჭეში მას შეეგებნენ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრნი თ-დი ი. ა. ბარათაშვილი, თ-დი ნ. დ. ერისთავი, შ. ვ. მიქელაძე, ი. გედევანიშვილი და დ. დუმბაძე, რომელთაც ძვირფასი სტუმარი მიიწვიეს კრებაზე კლუბის საზამთრო დარბაზში, სადაც ამ დროს თავი მოეყარა დრამატიულ საზოგადოების წევრებს, ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა და ქართულ არტისტების და პრესის წარმომადგენელთ რიცხვით ორასამდე კაცს და მანდილოსანს. ყველას თვალი დარბაზის შემოსასვლელ კარისკენ იყო მიპყრობილი.

გამოჩნდა მიზეზიც ამ ყრილობისა და მხურვალე ტაშით ფეხზე წამოშლილი ქართველი საზოგადოება მიესალმა. ნიშნად მადლობისა მკრთალ იდუმალ ღიმილით თავი დახარა თვის საყვარელ მამულიშვილთა წინაშე და მანდილოსნებისაგან მირთმეულ ცოცხალ ყვავილებით. ხელში აბრძანდა სცენაზე და მაგიდასთან განსაკუთრებულ სავარძელში ადგილი დაიჭირა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრთა შორის. აქ პირველად მხურვალე სიტყვით მიესალმა ნ. დ. ერისთავი, ხოლო მის შემდეგ შ. ვ ალექსეევ-მესხიშვილი. ორთავე ორატორი შეეხნენ მის უკვდავ ნაწარმოების დიად მნიშვნელობას, „ვინ იცის რამდენ ოთარ-ბეგს გაუღვიძე მამულისადმი სიყვარულიო", სთქვა ერისთავმა, ხოლო შალვა მესხიშვილმა მოიხსენია, რომ მის დრამას შეცდომით უწოდებენ ისტორიულად, იგი სიმბოლიურია, იგი გასაღებია ჩვენი ეროვნული განცდისა და თუ მის ავტორს არ განეცადა ეს წუთები, განა შესაძლოა ასე მძლავრად ჩამოეკრა თვის ჩანგის სიმებისთვისაო"...

თავმჯდომარის ალაგი თანახმად თ-დ ერისთავის თხოვნისა დაიჭირა თვით ბ-ნ სუმბათაშვილმა, რომელმაც ბრძანა ქართულად:

— სიტყვა ეკუთვნის ვალერიან გუნიას.

ბ-ნ გუნიამ თავმჯდომარის ნებართვის შესახებ წარმოსთქვა სიტყვა.

ამ სიტყვაზე თავმჯდომარემ ქართულად ბრძანა შემდეგი:

„მიიღეთ ჩემი მადლობა და მაპატიეთ, რომ ჩემი სიცოცხლე ისე წავიდა რომ არა მაქვს არც ნიჭი როგორც ორატორს და არც შეძლება მადლობის მოსახდელად. ყოველ კაცს შეუძლიან თავის სიყვარული სამშობლოსადმი ისე შეასრულოს, როგორც მას ძალღონე შესწევს. კიდევ მიიღეთ ჩემი მადლობა და ნება მიბოძეთ აღარ გამტანჯოთ და რუსულად მოგახსენოთ ის, რის თქმაც მსურს". ამის შემდეგ რუსულად განაგრძო თვისი სიტყვა. ეს სიტყვა სასიქადულო მამულიშვილის უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ალსარებად.

თვის სიტყვაში სუმბათაშვილმა მოიხსენია რომ მთელი მისი ბუნება როგორც ხორციელი ისე სულიერი ალსავსეა იმ განსაკუთრებულ სხვისთვის უხილავ წუთებით, რომელიც მან თვის სიყმაწვილეში განსცადა ძვირფას სამშობლოს საქართველოს კეკლუც ბუნების კალთაზე. არტისტი დრამატურგი ამის განცდის შემდეგ რასაც კი ხელს ჰკიდებდა: როლს სათამაშოდ, თუ კალამს საწერად იგი მუდამ ჟამს თვის ძვირფას სამშობლოს ზეგავლენის ქვეშ იყო მოჯადოებული. და მე სთქვა ბოლოს სუმბათაშვილმა ვიარე ვადგევარ და ვივლი ამ გზით აღსავსე სიყვარულით ჩემ ძვირფას სამშობლო საქართველოისადმი და საერთო მამულის რუსეთისადმი.

მისი სიტყვის შემდეგ, ბ. სუმბათაშვილის თხოვნით კრების გასაგრძელებლად არჩეულ იქმა თავმჯდომარეთ გ. დ. ჟურული, რომელმაც სხვა საკითხთა შორის წამოაყენა გადასაწყვეტად საკითხი ვალ. გუნიას იუბილეს შესახებ. კრებამ ერთ ხმად გადასწყიტა გაუმართოს ვალ. გუნიას იუბილე და მისი მოწყობა ცალკე კომიტეტს მიენდოს, რომელიც დრამატიულ საზოგადოების 22 მაისის წლიურ კრებაზე უნდა აირჩეს. ამავე კრებაზე ბ-ნ სუმბათაშვილმა სურვილი განაცხადა ქართულ თეატრის საამშენებლო კომიტეტის წევრობაზე. რასაც საზოგადოება მხურვალე ტაშით შეეგება

კრება ნაშუადღევის $11^1/_2$ საათზე დამთავრდა. ფოტოგრაფმა გადიღო სურათი მთელი ყრილობისა ძვირფას სტუმართან ერთად. შემდეგ ამისა ბ-ნი სუმბათაშვილი მიწვეულ იქმნა კლუბის საზაფხულო ბაღში ვახშამზე. მასთან ერთად მიწვეულ იქმნენ მსახიობი ქალი საიმპერატორო სცენისა ქ-ნი ლევშინა, ბ-ნი პოლონსკი და არტისტი ქალები და კაცები ამავე დასისა. რომელიც კრების დასრულებისას მოვიდნენ. ვახშამს 100 სულზე მეტი დეესწრო. თამადათ არჩეულ იქმნა თ-დი გრ. ნ. დიასამიძე. სცენაზე სიმებიანი ორკესტრი და დუდუკი უკრავდა. ვახშამზე მრავალი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქვა. სიტყვები წარმოსთქვეს თ-დ ი. ა. ბარათაშვილმა, ალ. რუტკოვკსიმ, გრ. რობაქიძემ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თვისი სიტყვით, თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილმა, მ. ვ. მაჩაბელმა, ივ. ზურაბიშვილმა, დრამატურგმა—მწერალმა ბ-ნ ლოჟნერინმა გ. ბ. გვაზავამ, ს. დადიანმა, თ-დ გ. ამირეჯიბმა, ი. იმედაშვილმა, კ. ტყავაძემ. ე. ს. თაყაიშვილმა, ვ. ღამბაშიძემ, ბ-ნ პოლონსკიმ და სხვ. ძვირფასმა სტუმარმა მიირთო სადღეგრძელო დამსახურებულ მსახიობთა ლადო მესხიშვილისა, ვასო აბაშიძისა, კოტე ყიფიანის და ვალერიან გუნიასი, მიირთო სადღეგრძელო ბრძოლის ველზე მყოფ თავდადებულ ქართველებისა და იმ გულ მოკლულ ქართველ დედებისა რომელნიც მორალურ ტანჯვას გულში იხარშენ და გარეგნულად წარბს არ იხრიან. თამადამ აკაკის ლექსი ერნესტო როსსიზე წაუკითხა. ერნესტო როსსის მოგონებაზე ძვირფასმა სტუმარმა განაცხადა, რომ ყველა საჩუქრებში რომელიც კი მიმიღია სცენაზე სამსახურის დროს მეტად სათუთად ვუფრთხილდები პორტ-სიგარს მოძღვნილს ერნესტო როსსისაგან მისი სურათითო და ჩავალ თუ არა რუსეთში გამოუგზავნი დრამატიულ საზოგადოების მუზეუმსაო.

საზოგადოებამ მადლობა გადუხადა. ბ-ნ ვ. ღამბაშიძემ ამაზე მოხდენილ სიტყვით უსურვა ძვირფას სტუმარს რომ „კარგი იქნებოდა თუ მაგ პორტსიგარს თქვენც თან წამოჰყვებოდეთ და სათავეში ჩაუდგებოდეთ ჩვენს სცენასაო".

ამ გულწრფელ სიტყვას იქ დამსწრეთ მხურვალე ტაშით შეხვდნენ და დიდათ ასიამოვნეს თვით ძვირფასი სტუმარი, სადღეგრძელოებ შუა ტკბილი კახური მრავალჟამიერი და სუფრული გაისმოდა, თ-დ ოსიკო ბარათაშვილმა საუცხოვოდ იმღერა დუდუკზე ბაიათები, კოლა ერისთავმა წაუკითხა ლექსები, ახალგაზდა მგოსნებმა ალ. შანშიაშვილმა და ი. მჭედლიშვილმა უძღვნეს ძვირფასს სტუმარს თვისი ლექსები. სცენაზე გაიმართა ლეკური. დასასრულ სასიქადულო მამულიშვილმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ტურფა საქართველოსი და განაცხადა რომ დღესვე უნდა თაყვანი ვსცე ჩვენ დიდებულ მგოსნების ილიასა, აკაკისა და გრიბოედოვის საფლავსაო. ეს სადღეგრძელო განსაკუთრებით დაილია და ამით დამთავრდა ვახშამი დილის 5 საათზე. ვახშმის შემდეგ კლუბის ბაღში კვლავ გაჩაღდა ლხინი და სიმღერები. ტკბილ დუდუკისა და სალამურის ხმაზე გაჩაღდა ლეკური. მოხდენილად იცეკვეს ლეკური ქ-ნ ლევშინამ, კნ. გრუზინსკისამ, პოლონსკის დასის არტისტ ქალებმა, ტასო აბაშიძემ, ვასო აბაშიძემ კინტოური, ოსიკო ბარათაშვილმა, კნ. გრუზინსკიმ და სხ.

დასასრულ ბაღში კვლავ გადაღებულ იქმნა სურათი საგანგებოდ მოწვეულ ფოტოგრაფის მიერ და დილის მეექვსე საათზე მთელმა საზოგადოებამ გააცილა ძვირფასი სასტუმრო „პალას ოტელამდე", სადაც ჩამომხტარია სასიქადულო მამულიშვილი.

## კითხვა-პასუხი.

(ვუძღვნი ჩემს კეთილ მეგობარს მიტრ. ლაღიძეს)

როს ჭრილობით იტანჯები, გეწამლება სული,
სიკვდილს ებრძვი, გებინდება სიყრმის გაზაფხული,
ან ტყვედ ჰყავხარ მარტოობას, უნუგეშო სევდას:
ვის იგონებ? ვის ეძახი, განგიკურნოს წყლული?
—მარად ტკბილს და საყვარელსა, დაუვიწყარ დედას!

როს შორეულ უცხოეთში მწუხარებას ჰმონებ,
თვალი ცრემლით გენამება, ფიქრით გულს იღონებ,
სწუნობ, ველარ ეგუები სხვა მზესა და მდელოს:
ვისზე ფიქრობ? მწარე კვნესით, ოხვრით ვის იგონებ?
—ჩემს სამშობლოს საყვარელსა, ტურფა საქართველოს!

შორს მყოფს კარზე რომ მოგადგეს ულვთო აღსასრული,
გულმა ცემა გაანელოს, შეგიღამდეს სული,
ჩაღიოდეს შენი დილა, ყოფნა შავ კუბოში:
სად ინატრებ, სად ისურვებ იჰქმნე დამარხული?
—ჩემს დედასთან, დაუვიწყარ, ნეტარ სამშობლოში!

ორი მტერი რომ გაგიჩდეს ვაჟკაცს ძალა-სრულსა:—
ერთი ერსა გიჩაგრავდეს, საყვარელ მამულსა,
მეორე-კი, პირად სატრფოს, პირად საყვარელსა,—
პირველ მახვილს რომელს ჩასცემ, ვის გაუპობ გულსა?
— ჩემს სამშობლოს მოღალატეს, ერის დამჩაგვრელსა!

ნ. ჩხიკვაძე.

## ბრუტუსი და ანტონიუს

ცხოვრების ბედ-იღბალს ბრუტუსი და ანტონიუსები განაგებდნენ. ცხოვრებამ საუკუნეთა განმავლობაში ბევრი რამ განიცადა, მაგრამ ამ მხრივ იგი ჩვეულებრივ მიმდინარეობს. თუ ბრუტუსი და ანტონიუსი არა, ცხოვრება უმნიშვნელო, უფერული იქნებოდა. ბრბო, მასსა ყურმოჭრილი ყმაა, უძირო ქვევრი, რომ ამოიძახოს ბრუტუსისა და ანტონიუსის სურვილის თანახმად. უცნობი ინჟინერი ბრუტუსი საჭირო იყო, რომ ქეოპსეს შოლტის ქვეშ ამ მილიონ უსახო ტალღისათვის პირამიდები აეგებინა. არ მომხდარა უდიდესი მოძრაობა, თუნდა სტიქიური, ომი თუ გარდასახლებაგა დმოსახლება, შიმშილთან ბრძოლა, ერთურთის გლეჯა-ფლეთა, თუ ბლავილს შეჩვეულ მასას მოსე-ბრუტ თუ ისო ნავინ-ანტონიუსისთვის არ მიემართნა. ჰანიბალი თუ კეისარი, ნაპალეონი თუ სემირამიდა თამარი თუ კარლოს დიდი ყველანი თავთავის დროის ბრუტუსი და ანტონიუსი იყვნენ. გამოჩნდება ბრუტუსი ტრიბუნად, მას ბრბო ტაშს უკრავს, ველურ აღმაფრენით ფეხდაფეხ მისდევს, თვით ღვთაებრივ კეისრის სიკვდილს აზრი აქვს. კეისარი დამნაშავეა, კეისარი ათასჯერ რო აღდგეს ეხლა თვით ეს გაცოფებული ბრბო ცოცხლივ ტყავს გააძრობს. მაგრამ აი გამოჩნდება ანტონიუსი. იგივე კეისრის ჭრილობანი მაისის ვარდათ კოკრდებიან, მათი სურნელოვებით გაბრუებული მასა შურის საძიებელ მახვილს დაატრიალებს სიკვდილი სიკვდილის მოციქულს. უნდა მოკვდეს დიდებული მამულიშვილი ბრუტუს, მოკვდეს მკასიუსი, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მოჰკლეს ამ ბრბოს გამძღოლელი მამა-ბატონი კეისარი! ღმერთებიც კი კაპიტულის თავზე ქვითინს მორთვენ მათს ღრიანცელსა და თავში ცემაზე. ფორუმი ძაძით იმოსება. შურის საძიებელი შეილდ-ისარი მიჰქრის ნიშანში ამოღებულ ბრუტუსის გულის გასაგმირავად. ღღესასწაულობს ანტონიუს, მას კეისრის მემკვიდრედ აცხადებენ, ახალ ბატონად...

ბრუტუსისა და ანტონიუსის გავლენას ვერ ასცდებოდა ჩვენი ქვეყანაც. თვით ეხლაც კი, მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართველ დემოკრატიას თავი მოაქვს გათვითცნობიერებით, სინამდვილეში იგი უფორმო მასად დარჩა, იმავე ქვევრად, ცარიელ ჭურად, რომელიც მხოლოდ ბრუტუსთა და ანტონიუსთა ჩაძახებას მოელის დიდი მამულიშვილი ილია სასტიკად უნდა დასჯილიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ანტონიუსმა მოისურვა მისი მტრად და მოღალატედ გამოცხადება. თვით დემოკრატიის ერთი უძვირფასესი მომღერალთაგანი, როგორიც იყო ევდოშვილი, ცოცხლივ უნდა „დამარხულიყო" ამავე დემოკრატიის მიერ, რადგანაც ანტონიუსმა იგი გამოაცხადა მტრად, „მტრის ბანაკში" გადასახლებულ მოფარიკედ. ანტონიუს ნ. ჟ--ნიას ვაკხანალურ განგაშით ანათემა შეუთვალა ლადო დარჩიაშვილსაც განდგომისათვის, ისიც მტერია, მოღალატე, როგორც ივ. გომართელი, მხოლოდ იმიტომ, რომ აზრთა უთანხმოებამ იჩინა თავი მათს შორის. ბრბოც ისე იქცეოდა, ვით შეჰფერის ბრბოს. ისტორიულმა უგნურებამ, მკაცრმა ყიჟინამ ერთსაც და მეორესაც სიცოცხლის დღენი მოუსწრაფა. ერთი რამ არის განსხვავება ჩვენს ბრუტუს-ანტონიუსის და ანტიურბრუტუს — ანტონიუსის შორის: იმ დროს, როდესაც ბრუტუსის რწმენას თვით საყვარელ პორაციის სიკვდილი ც განწირულება ვერ შეაცვლევინებთ, ჩვენი დღეის ბრუტუს-ანტონიუსნი აფრის ფრიალა ცვალებადობას გვაგონებენ. მათი კეთილგონიერების ფარ-ხმალი გარდამტყდარია. მათ როდი დაიზარეს ნიანგის ცრემლები დაეფრქვიათ ლადოს საფლავზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ანტონიუს ჟ—ნიამ, შესაძლებელია ირ. ევდოშვილისადმი გამოუსწორებელ შეცდომის გასასწორებლად, ასე მოისურვა. სამგლოვიარო განცხადებათა არშიით შეამკეს მისი სურათი, ვინც მათი ლოღიკის თანახმად „მტრის ბანაკში" მოკვდა. უსახო ბრბომაც ქვითინი მორთო, თავზე ნაცარი წაიყარა... ჭეშმარიტად, ასეთი სანახაობა ღირსია მხოლოდ ასეთის „გათვითცნობიერებული" დემოკრატიის! დასამარება და უგუნურების პირამიდის აგება როდი ეზარებათ, ოღონდ ბრძანონ ჩვენმა ქეოპსე-ანტონიუსებმა, ოღონდ ეს ასე დაადგინონ უცნობ ინჟინერ-ბრუტუსებმა, ქართველი დემოკრატია, მედგრად მებრძოლი ყოველგვარი ბატონობის წინააღმდეგ, ნამდვილად მუდამ ბატონის ძებნაშია. უფერული იყო და უფერულია დღესაც. იგი მუდამ ტრიბუნ-ბრუტუსისა და ანტონიუსის შოლტს მოელის. საქმე ისაა, ვინ დახვდებათ პირველი წინა, ბრუტუსი თუ ანტონიუსი, რომ ხმალკაპარჭი მოიმარჯვონ და ყრუ ღრიანცელით თვით ოლიმპი წამოაქციონ.

დ. კასრაძე.

## ახალი ამბავი

✦ **სასახლეში.** გუშინ მეფის ნაცვალთან სადარბაზოდ იყვნენ თ-დი ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი, თბ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი და თბ. მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი.

✦ **მცხეთის საპატრიარქო ტაძარში** გუშინ 21 მაისს გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულ თ-დის კ. ა. მუხრან-ბატონის სულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ მათი უმაღლესობა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, განსვენებულის მეუღლე მათი უმაღლესობა კნეინა ტატიანა კონსტანტინეს ასული და მრავალი წარჩინებულნი პირნი.

✦ **„ღალატი" ა. ი. სუმბათაშვილის წინასიტყვაობით.** ქართული დრამატიული საზოგადოება ივნისის პირველ რიცხვებში დასდგამს „ღალატს", თვით ავტორის თანადასწრებით. ამ წარმოდგენაზე პატივცემული ავტორი წაიკითხავს ჯერ არსად გამოუქვეყნებელ წინასიტყვაობას, რომელიც ღალატზე აქვს დაწერილი ბ-ნ სუმბათაშვილს.

✦ **დიდი სახალხო სეირნობა.** დღეს, 22 მაისს, ნაშუადღევის 3 საათიდან, „ახალი კლუბის" საზაფხულო ბაღში დაიწყება დიდი სახალხო სეირნობა ლატარია ალეგრით, რომლის წმინდა შემოსავალი, მოხმარდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საქმეებს. ქალთა წრე, რომელიც სეირნობის მოსაწესრიგებლად არის შემდგარი, დიდის მუყაითობით მუშაობს. ლატარიისათვის აუარებელი ნივთებია შემოწირული. შემოწირულებათა შორის ბევრი ძვირფასი ნივთი ურევია. შემოწირულია სხვათა შორის, კახური ღვინო, შოთები, შაქარი და აგრეთვე ცოცხალი ცხვარი, მეწველი ძროხა და ქალის ინგლისური უნაგირი.

✦ **სამეურნეო აღწერილობა.** 20 მაისს თბილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა კრება სოფლელთა სათეს მიწებისა და საქონლის აღწერის შესახებ, რომელიც 15 ივნისიდან უნდა მოხდეს 40 დღის განმავლობაში. კრებას დაესწრნენ წარმომადგენელნი სახელმწიფო დაწესებულებათა, თავად-აზნაურობისა და კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრებაზე გამოირკვა, რომ მხოლოდ თბილისის გუბერნიისთვის საჭიროა 100 ინსტრუქტორი და მათი თანაშემწენი, გარდა აღმნუსხველებისა. ფულად ამავე გუბერნიისთვის საჭიროა 40 ათასი მანეთი. აღწერილობას თვალყურს ადევნებს ერთი უფროსი ზედამხედველი. აღწერა მოხდება არა საპოლიციო ნაწილების მიხედვით, არამედ მომრიგებელ მოსამართლეთა ნაწილებათ.

✦ **ლექცია.** დღეს ახალ კლუბში შუადღის 12 ნახევარ საათზე ჩიტო კაპანაძე წაიკითხავს ლექციას: „ისტორია საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიისა".

✦ **თბ. თავ.-აზნ. გუბერნიის წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდა.**

✦ **ოპერეტტა.** კვირას, 22 მაისს, ხარფუხის საზოგადო კლუბში წარმოდგენილი იქნება ოპერეტტა კავკასიის ცხოვრებიდან.

✦ **გოგირდის ძებნა.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მრავალი სოფლიდან ჩამოსული ხალხი აწყდება და გოგირდს თხოულობს, მაგრამ ყველანი ხელცარიელი ბრუნდებიან. როგორც ვიცით, მისმა უმაღლესობამ პ. ა. ოლდენბურგსკის პრინცმა კარგა ბლომა გოგირდი დაუთმო აღნიშნულ საზოგადოებას. ცნობა მოუვიდა, 24 ვაგონი ამ გოგირდით უკვე დაიტვირთა ვლადივასტოკში. და 14 მაისს საქონელი ბალაჯარაში იქნებაო. 14 მაისი უკვე გავიდა, მაგრამ გოგირდი ჯერ კიდევ არ გამოჩენილა. საქონელი გამოგზავნილია მიწადმოქმედების მინისტრის მთავარ რწმუნებულის ბ-ნ შაშკოვსკის სახელზე, რომელიც თვითვე მთავარი გამგეა ტრანსპორტის საქმეებისა.

✦ **ხელოსანთა კლუბის წევრთა** კრება დღესაა დანიშნული.

✦ **ქართულ გიმნაზიის მშობელთა** წრის კრება დღეს დილის 11 საათზეა დანიშნული.

✦ **საკოოპერაციო საქმე.** ორშაბათს, 23 მაისს, საღამოს 8 საათზე, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციის კრებაა დანიშნული. კრებამ უნდა აირჩიოს ინსტრუქტორი და განიხილოს მორიგი საქმეები.

✦ **სეტყვა.** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მიღებულ ცნობების მიხედვით, 10 მაისის სეტყვას იყალთოში გაუნადგურებია ერთი მესამედი ვენახებისა. დასეტყვილთა შორის არის აღნიშნულ საზოგადოების ვენახიც. მსუბუქად არის დასეტყვილი ოჟიოსა და აწყურის მამულები, ხოლო ხორბლის მამულები კი საგრძნობლად. თაღლიაურის ვენახები ყველა ჩარეგვილია. საკვირველია, რომ საცა სეტყვამ გადაიარა, ბევრგან ყანებს არა ვნებია რა.

თბილისის მაზრაში ვენახებიც და ყანებიც ჩარეგვილია მარტყოფსა, ახალსოფელსა და ნორიოში.

✦ **სურსათი.** ქალაქის გამგეობას მოუვიდა დონის როსტოვიდან პარამონოვის წისქვილისაგან 70 ვაგონი ფქვილი. ეს ფქვილი შედარებით მეტმატულობს გამოცხობის დროს და უფრო იაფადაც ჯდება, ვიდრე ნიკოლენკოსა და კაშჩენკოს ფქვილი.

✦ **ქალაქის გამგეობის დადგენილება.** ხმოსანთა არჩევნების გამო უძრავ მამულების დასაფასებელ გადასახადის შეტანა ქალაქის კასაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარი წლისა საბჭოს დადგენილებით, როგორც ვიცით, გადადებული იყო 1 მაისამდე. ქალაქის გამგეობამ ეხლა დაადგინა, რომ მეორე ნახევარი წლის ხვედრი გადასახადი ჩვეულებრივად შეტანილ იქმნას კასაში 1 მკათათვემდის.

✦ **ახალი ბანკი.** პროვინციების სარაიონო კომიტეტების შუამდგომლობის თანახმად, კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის მთავარმა საორგანიზაციო კომიტეტმა დაადგინა, რომ ამ ბანკის აქციების ფულის წარდგენა გაგძელდეს 30 ამა მაისამდე.

✦ **ფორერების საქმე.** კავკ. სამხედრო საოლქო სასამართლოში დასრულდა საქმე ჰენრიხ და ადოლფ ფორერებისა და ადოლფ კუნისა რომელთაც სასამართლო ბრალსა სდებდა სამხედრო საჭიროებისთვის ნაყიდ ღვინოში მღვრიე წყლის არევაში. სასამართლომ ჰენრიხ და ადოლფ ფორერებს მიუსაჯა ყოველივე უფლების ჩამორთმევა და 3 წლით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება, ხოლო ადოლფ კუნს 50 თუმნის ჯარიმა დმ 2 კვირით დაპატიმრება.

✦ **დანაკარგი.** ლევან გრიგოლის ძე ალიბეგიშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გუშინ მას დაუკარგავს ფულის ქისა 635 მანეთით. მპოვნელს სთხოვს დამკარგავი ფულისა მიუტანოს ბინაზე (სლეპცოვსკაია № 3, 1 საპოლიციო უბანი), ვინაიდან მას სამსახურიდან ითხოვენ ამ ფულის პატრონები.

✦ დღეს, 22 მაისს, შუადღის 12 ნახევარ საათზე **შიო მღვიმელის** პატივსაცემლად საზოგადოების სურვილისამებრ ქართულ კულტ. მოყვ. საზოგადოების თაოსნობით **სახალხო**

გაზ. „საქართველო"-ს კანტორისაგან

საჭიროა გაზეთის აგენტები

ყველა ქალაქსა და დაბა-სოფლებში. მსურველთ მიჰმართონ „საქართველოს" კანტორას (თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 4. სახლი გაბაშვილისა)

სახლში განმეორებულ იქნება საბავშვო დილა იმავე პროგრამით, როგორითაც გაიმართა 14 თებერვ. სახაზინო თეატრში. ივ. გომართელი წაიკითხავს ლექციას შიო მღვიმელზე, რომლის შემდეგაც გაიმართება დივერტისმენტი ორ დიდ განყოფილებად. მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ბავშვები ეროვნულ ტანისამოსებში—დამკვრელნი, მომღერალნი, ტრიო, მილიცვები, ცოცხალი სურათები, აპოთეოზი და სხვა. სასურველია, რაც შეიძლება მეტი ბავშვები დაესწრონ ეროვნულ ტანისამოსებში. დილის გამმართველნი დარწმუნებულნი არიან, რომ ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრობა ამ დილას და შეძლებას მისცემს თავის ბავშვებსაც დასტკბნენ ამ იშვიათი დღესასწაულით ქართველ ბავშვთა ცხოვრებაში.

ბილეთები იყიდება სახ. სახ. კასაში. ფასები ჩვეულებრივია ქართ. კულტ. მოყვ. საზ.-ბის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ თეატრის დარბაზი შუადღის სრულს 12 ნახევარ საათზე დახურულ იქნება და აღარავის შეუშვებენ.

✦ **საერობო აგრონომი დიმიტრი ნაკაშიძე**, რომელიც ამას წინად აჭარაში დაატუსაღეს, 18 მაისს გაანთავისუფლეს. ამავე დროს წინადადება მისცეს გადასახლდეს ასტრახანის გუბერნიაში.

✦ **კოოპერატიული სასადილო.** 19 მაისს „ნაკადულის" რედაქციაში კრება ჰქონდა კოოპერატიულ სასადილოს დამფუძნებელთ. დაესწრო 20 კაცი. დაადგინეს პირველი საზოგადო კრება თიბათვის შუა რიცხვებში მოიწვიონ. მანამდე კი დაიბეჭდოს წესდება. წევრად ჩაწერა ახლავე შეიძლება შემდეგ ადგილებში: ახალ წიგნების ბიბლიოთეკა (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნ. ქარვასლაში და მიხეილის ქუჩაზე), ნაკადულის" რედაქციაში (მამა დავითის ქუჩა № 2), ბენიამოვიჩის აფთიაქში (პუშკინის ქ. № 19) და როტინოვის საფართლო მაღაზიაში (ერევნის მოედანზე). წევრად ჩასარიცხი 3 მანათია. საპაიო-საწევრო—10 მანათი. საპაიო ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება.

✦ გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ გ„ნაკადულის" აპრილის ნომერი მოზრდილთათვის (№ 4) და მცირეწლოვანთათვის (№ 8)

**დ. ხაშური.**

როგორც უკვე დეპეშით გაცნობეთ, ხაშურში მოჰკლეს გიმნაზიის მასწავლებელი გუია (მიხეილ) პიმენის ძე რატიანი. ეჭვით დაატუსაღეს ლიმონათის ქარხნის პატრონი გიგუცა ძნელაძე. გამოძიების შემდეგ ის დარაჯე- [illegible]

— [illegible] დრამა „გამცემი", [illegible] 21 მაისს [illegible] გუია რატიანის სიკვდილის გამო [illegible] შაბათისათვის.

— ეს ორი კვირაა თოვლის [illegible] 17-ს მოვიდა [illegible]

**მორი.**

გორის სასოფლო-სამეურნეო [illegible]

## მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი"

(შემოსულია და [illegible])

ორი წლის წინათ რაც დაარსდა ამხანაგობა „ქართლი", რომელმაც მიზნად დაისახა [illegible]

აიძულებდნენ მომხმარებელსაც ძვირად ეყიდნა ყველაფერი, რადგან მონოპოლიის მზგავსად დაიუფლეს ჩარჩებმა მთელი მეხილეობა. ამხანაგობა „ქართლმა" თავიდან გახსნა მაღაზია ძველ სემინარიის შენობაში და გირვანქის ქვეშ ვაჭრობას აწარმოებდა, მაგრამ პირველმავე გაზაფხულმა ნათელჰყო ზოგიერთი ნაკლი, განსაკუთრებით წვრილ-წვრილად ვაჭრობისა და ამხანაგობა მაშინვე შეუდგა საქმის გაფართოვებას ბირჟმად ვაჭრობისათვის. საქმე იმაშია რომ საწარმოვო რაიონის შემოფარგვლა მარტო ქართლით შეუძლებელი და არა სასურველი გახდა ბევრის მოსაზრებით და გაფართოებულ საქმეს-კი წვრიმალი ვაჭრობა ვერ იტევს თავის კალაპოტში.

ყველა ზემოხსენებულის მიზეზები შემდეგია: ზამთრის ხილი, რომლითაც უმთავრესად ვაჭრობდა „ქართლი" ვერ შეავსებდა მაღაზიას გაზაფხულზედ, როცა საჭიროა ახალი ხილი. ამხანაგობამ მიმართა იმ მხარეს, საცა შემოდის ნაადრევი ხილი, ე. ი. ქუთაისის გუბერნიას. ხილის ჩამოტანა საუკეთესოდ მოეწყო, მაგრამ მეორე ნაკლმა იჩინა თავი: საგაზაფხულო ხილი იმდენი აღმოჩნდა, რომ მისი გასაღება ერთ მაღაზიაში შეუძლებელი გახდა და რამდენიმე მაღაზიის ხარჯს კი მარტო ეს ხილი ვერ დაჰფარავდა, მით უფრო რომ გაზაფხულის ხილი სუსტია, არ ინახება და თუ მაშინვე არ გასაღდა, აუტანელ ზარალს მიაყენებს პატრონსა. საჭირო გახდა ბირჟმი ვაჭრობა და მთელი ცდა ამხანაგობის გამგეობისა აქეთკენ იყო მიმართული. ასეთი ვაჭრობის დაწყობა მეტად გაძნელებულია, ვინაიდან ათი და ასი წლით დაჭერილი ბაზარიდან ვისიმე განდევნა ან მათში ჩაჭრა ათას დაბრკოლებას ეხეთქებოდა. მაგრამ მაინც მოხერხდა საქმის მოგვარება, თუმცა სხვასთან ერთად და სხვისი პირობების კარნახით. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა, რასაკვირველია, რადგან გამგეობა ნათლად ხედავდა უცნაურს უსამართლობას: სრულიად გაუსჯელად, დამშვიდებულად და აღუშფოთველად, გერშემორტყმული ჩარჩები ითვისებდნენ მწარმოებელთა ნაოფლარის დიდს ნაწილს და სამაგიეროს მხოლოდ იმით-ღა უხდიდნენ რომ მათგანვე მონაგრით უფრო მეხრუკს უჭერდნენ, როგორც წლითი წლობამდის ხდებოდა. რადგან საქმეც, საზოგადოების ყურადღებაც და მწარმოებელთა თანაგრძნობაც დღითი-დღე იზრდება, ხილი და ბოსტნეული მრავლდებოდა, ამხანაგობამ თვისი ყურადღება ყველაფერ სხვას [illegible]

[illegible] ყველა დაწვრილებითი ცნობების [illegible] Тифлисъ Т-во „Карталинія".

[illegible]რნე.

## ევდოშვილის გარდაცვალების გამო

[illegible]

## რატიანის სიკვდილის გამო

[illegible]

სასარგებლო ადამიანი გუია რატიანი, ადგილობრივი სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელი. ელვის სისწრაფით მოედო ეს ამბავი ხაშურის სხვა და სხვა კუთხეში გაფანტულს მოწაფე-მასწავლებელთ და ნახევარ საათში, აქამდის მყუდრო სადგური, მწარე, გულის სიღრმიდგან აღმოხეთქილ ქვითინის მოწამე გახდა. ტიროდა დიდი და პატარა დასტიროდნენ უდროოდ დაკარგულს ამხანაგს, სამუდამოდ ესალმებოდნენ ძვირფასს მასწავლებელს...

საკაცეზე მდებარე, ვაგონში მოთავსებული ვნახე. მუდმივ მხიარული, სახე გაშლილი და მიმზიდველი, ახლაც ცოცხალი, მაგრამ როგორღაც შემკრთალი და გაკვირვებული გამოიყურებოდა: თითქოს სძინავს და სცდილობს, რომ რაღაც უსიამოვნო სიზმარს თავი დააღწიოსო. ფიქრობ და გჯერა კიდეც, რომ აი ახლავე გაიღვიძებს, წამოდგება და სიცილით დაგიწყებს ლაპარაკს, თუ რა საშინელი და საკვირველი სიზმარი ნახა. გულის ფანცქალით უცდი, მაგრამ ამაოდ, ცივს ტყვიას სრულიად გაუყინავს მოძრავი არსება და სამუდამოდ დაუდუმებია მისი ბაგე...

გუია (მიხეილ) რატიანი დაიბადა 1884 წელს სენაკის მაზრაში, ღარიბ, უბრალო გლეხის ოჯახში. ნიჭიერმა და მაღალი იდეალებით აღჭურვილმა 19 წლის ყმაწვილმა მან საუკეთესო მოწაფედ დაამთავრა 1903 წ. ქუთაისის საოსტატო სემინარია და ორი წელიწადი მასწავლებლობდა ს. სალხინოში, სენაკის მაზრაში. აქ მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ეგრედ წოდებულ „სენაკის რესპუბლიკის" საქმის გამო შეპყრობილ და სამართალში მიცემულ იქმნა. სანამ საქმე გაირჩეოდა ის თავდებობით გამოუშვეს ციხიდან. სამსახურიდან გამორიცხული ის დაბინავდა ქ. ქუთაისში, სადაც სცხოვრობდა კერძო გაკვეთილებით და ამასთანავე თვითონაც ემზადებოდა სიმწიფის მოწმობისათვის. 1908 წელს მას უკვე ოდესის უნივერსიტეტში ვხედავთ, მაგრამ სწორედ ამ დროს საოლქო სასამართლო არჩევს მის საქმეს და კატორღას მიუსჯის. ამიტომ მას იჭერენ, უნივერსიტეტიდან გარიცხავენ და ჰგზავნიან. ორი წლის შემდეგ სამოსამართლო პალატა, სადაც გადატანილ იქმნა მისი საქმე, უდანაშაულოდ სცნობს მას და ის სწავლის მიღების წყურვილით აღჭურვილი, კვლავ უბრუნდება უნივერსიტეტს და 1915 წელს დაამთავრებს. ამავე წლის პირველ ენკენისთვიდან ის ინიშნება ხაშურის სავაჟო გიმნაზიის მასწავლებლად. კეთილი, დანდობილი, გულუბრყვილო და ზედმიწევნით თავმდაბალი ადამიანი ის მალე იმსახურებს საერთო სიყვარულს. მოწაფეები აღმერთებენ მას, როგორც შესანიშნავ, საქმის მოყვარულს მასწავლებელს და კეთილს უბრალო ადამიანს, ამხანაგებს უყვართ და ხიბლავს მისი სპეტაკი, ნათელი სული და დაუშრეტელი ენერგია. და მართლაც, განა შეიძლება არ შეიყვარო ასეთი ადამიანი, რომელიც მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა მაინც გამარჯვებული გამოსულა ცხოვრების ბრძოლიდან და ბავშვური სიწმინდე, გულწრფელობა და მხიარულება არ დაუკარგავს?!

დიახ, უბრალო ოჯახის შვილმა, მაგრამ ნიჭიერმა და შრომის მოყვარემ, ხალხის უანგარო და თავგანწირულმა მოღვაწემ, მან ის იყო გაიკაფა ნარ-ეკალით მოფენილი ცხოვრების გზა, ის იყო აპირობდა, ცხოვრებისაგან მრავალჯერ დატანჯულ-განაწამები, თავისუფლად ამოსუნთქვას, მაგრამ აღარ დასცალდა და სულით ლამაზი, საზოგადოების საუკეთესო წევრი, მოწაფე-ამხანაგთა სათაყვანებელი ადამიანი უდროოდ, უმოწყალოდ გამოესალმა წუთისოფელს მტარვალის ხელით.

ხაშურის საზოგადოება ვალდებულია ამ საზიზღარს საქმეს ნათელი მოჰფინოს, ის მოვალეა მოიშოროს თავიდან ის ზიზღი და ჩირქი, რომელიც მას მოეცხო ზოგიერთი ნაძირალების მოქმედების გამო. მას და მხოლოდ მას შეუძლიან სავსებით გამოარკვიოს და გაამჟღავნოს ეს დახლართული საქმე და ჩვენც ველით მოუთმენლად!!

**გ. ნაკაშიძე.**

## მოხსენება

### აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების ბიუროსი

18 მაისს კრება ჰქონდათ თბილისის პირველდაწყებით სკოლების მასწავლებლებს. კრებამ მოისმინა მასწავლებელთა საზოგადოების საორგანიზაციო ბიუროს მოხსენება შესახებ თავის მოქმედებისა 15 აპრილიდან 19 მაისამდე. ბიურომ წინადადება მისცა კრებას—სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ შემდეგი შინაარსის მოწოდებით მიმართოს.

მიმდინარე წლის 2 აპრილს თბილისის გუბერნატორმა დაამტკიცა თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა წესდება.

საზოგადოებას დასახული აქვს მიზნად: 1) მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობა, 2) მასწავლებელთა სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, 3) სახალხო განათლების საქმის გაუმჯობესება. ამ მიზანთა განსახორციელებლად საზოგადოებას უფლება ეძლევა: 1) მოაწყოს თავშესაფარი იმ მასწავლებელთათვის, რომელთაც ავადმყოფობის გამო შრომა აღარ შეეძლებათ; 2) გახსნას სანატორიები, დაარსოს სამარხი და შემნახველ-გამსესხებელი კასა; 3) ხელი შეუწყოს წევრებს შვილების აღზრდის საქმეში სტიპენდიების დანიშვნით, ერთდროულ დახმარებით, ინტერნატების მოწყობით და სხ.; 4) გამართოს მასწავლებელთა ყრილობანი, სპეციალი და საზოგადო ხასიათის კურსები, სამეცნიერო ექსკურსიები; 5) დაარსოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, წიგნების საწყობები და მაღაზიები; 6 გამოსცეს სახელმძღვანელო წიგნები, სამეცნიერო და პედაგოგიური ხასიათის ჟურნალები; 7 მოაწყოს თავის წევრთათვის და მათი ოჯახებისათვის სხვა და სხვა გონებრივი გასართობები—წარმოდგენები, კონცერტები, სალიტერატურო კითხვები და და სხ.; 8) მოაწყოს პედაგოგიური მუზეუმები, გამოფენები, ცნობათა ბიურო და სხ.

საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას ფილიალური განყოფილებანი.

საზოგადოების წევრებად მიიღებიან: პირველდაწყებითი სამინისტრო, სამრევლო და კერძო სკოლების მასწავლებლები და აგრეთვე ყველა მასწავლებელნი.

საზოგადოების წევრთა საერთო კრება ირჩევს გამგეობას 1 წლის ვადით.

ამ ახალი საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრება დანიშნულია თბილისში მიმდინარე წლის 5 თიბათვეს, დღის 12 საათზე, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში.

კრების წეს-რიგი ასეთია: ა) საზოგადო კრების გახსნა, კრების თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა; ბ) საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენება საზოგადოების მიერ დასახულ მიზნებისა და მომავალ სამოქმედო გეგმის შესახებ; გ) მოხსენებანი სხვა და სხვა პედაგოგიურ ტემებზე; დ) კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლების მისალმება; ე) საზოგადოების ნამდვილ და საპატიო წევრთა მიღება: ვ) საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობის 4 წევრისა და სარევიზიო კომისიის 3 წევრის არჩევა.

პროვინციებიდან ჩამოსულ მასწავლებელთ უსასყიდლოდ დაეთმობათ ბინა ქალაქის სკოლების შენობებში.

კრების მონაწილეთ დაურიგდებათ სახელობითი ბილეთები უსასყიდლოდ მიმოსვლისა ტრამვაის ვაგონებით.

მასწავლებელთათვის მოწყობილ იქნება სამეცნიერო ექსკურსიები: ექსკურსანტები დაათვალიერებენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმს, ბოტანიკურ ბაღს, სააბრეშუმო სადგურს, საბაღოსნო სკოლას, ქალაქის სასაფლაოს, წყლის მილის აუზს, სომეხთა საზოგადოების საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს და სხ.

მოწყობილ იქნება სპეციალი და საზოგადო განათლების შინარსის ლექციები.

ვისაც სურთ საზოგადოების წევრად ჩაწერა და დამფუძნებელ კრებაზე დასწრება, უნდა გამოცხადნენ 5 თიბათვემდე თბილისში, თავად-აზნაურთა შენობაში (სასახლის ქუჩა, 5), სადაც დროებით მოთავსებულია კანტორა მასწავლებელთათვის ცნობების მისაწოდებლად.

## თავ. ალ. სუმბათაშვილის გასტროლები

თ. ა. ი. სუმბათაშვილმა 19 მაისს დიდი შექსპირის „რიჩარდ III" დასდგა. დამსწრე საზოგადოება აღტაცებით მიეგება მის კლასიკურ თამაშს. მისი გლოსტერ-რიჩარდი განხორციელებული დემონი იყო, აღსავსე ბოროტებითა, მაგრამ იმავე დროს ძლიერი ნების ადამიანი, რომლის არსებობა მხოლოდ გონებაში თუ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. სამწუხაროდ მხოლოდ ის იყო, რომ მსახიობი მხოლოდ ერთ მოქმედებით დაკმაყოფილდა. მაგრამ ის რაც ვნახეთ, წარუშლელი სახსოვარი იქნება ჩვენთვის. ახოვნება, რაიც შექსპირის პიესათა საქარგად ასე რიგად საჭირო არის, ზევსეს უხვად მოუმადლნია მსახიობისთვის. მის განკარგულებაშია საიდუმლოთა გრძნეულობა, რომ სულის ყოველ მღელვარებას, ზრახვათა სახეს, ნებისყოფის შეუდრკელობას ტალღათა რულადის სახით მიმოიქცევდა, იგი ქამლიონი იყო, ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე დროს პსიხოლოგიურ მდგომარეობათა კონტრასტები საოცარის სისუბუქით მოახერხა მსახიობმა. სულ სხვა იყო გლოსტერი ფარდის ახდისას, გლოსტერი კლარენსთან მოუბარი, გლოსტერი ედუარდის კუბოს წინ, როდესაც ლედი ანნას და პროცესიას შეაჩერებს, დასასრულ გლოსტერი დემონიურად მოხითხითე, როდესაც ყოველს ნაბიჯზე გამარჯვებას დღესასწაულობს. მართლაც, სანახაობად ჰღირდა განსაკუთრებით სცენა ლედი ანნასთან. ყოველ წუთს შეყვარებულ ნიანგის კვნესით რომ ხიბლავდა ლედი ანნას, ეს იმ ლედი ანნას, ვისაც ძვირფასი მეუღლე მოუკლა. მახსოვს, ანტვერპენიის ზოოლოგიურ ბაღში ვნახე ცალკე განყოფილებაში უზარმაზარი გველი, რომელსაც მტრედს შეუფრენდნენ, საკმარისი იყო მტრედი ხის შტოზე შემჯდარიყო, რომ გველს თავი მაღლა აელო და თვალებით ჰიპნოზის კვესება დაეწყო. წუთიც არ გაივლიდა, რომ ნება მოკლული მტრედი დაეშვებოდა მოწყვეტილი, გველი პირს დააღებდა და ისე ნთქავდა მას. სწორედ ჰიპნოზი, ეს არაჩვეულებრივი ძალა გამოიჩინა მსახიობმა მტრედ ლედი ანნას მოსახიბვლელად და რაღა გასაკვირველია, თუ გამარჯვების შემდეგ თვითვე მოვიდოდა განცვიფრებაში და ცას აღტაცებით გამოსთხოვდა სარკის შოვნას, რომ მის ჯადოსნობით ამოეცნო, თუ ამ ყოვლად მახინჯ ჯოჯო-ნიანგს რა აქვს ისეთი დაფარული სილამაზე, რომ ლედიანნანიც კი იძულებული ხდებიან მის წინაშე დაჰხარონ ქედი!

„რიჩარდის" შემდეგ დაიდგა „მსხვერპლი ღმერთთა", ოთხ მოქმედებიანი პიესა გერც-ვინოგრადოვისა. ეს დღე ქ-ნ იურიევას საბენეფისოდ იყო დანიშნული და ამ პიესაშიც, მართლაც, თუ ვისმეს შეგვიძლიან მივულოცოთ გამარჯვების დაფნა, ეს ისევ მას. პიესა ჩვეულებრივ მელოდრამას წააგავს, მაგრამ დრამა იგი არ შეიძლება სახელმძღვანელოდ გავიხადოთ თუნდა ისეთ ძველ და მუდამ ახალ საკითხის გადასაჭრელად, როგორც გახლავთ სიყვარული. ამ მხრივ დრამა იგი სახარბიელოს არას წარმოადგენს. შინაარსი ორი სიტყვით, [illegible]—სერგეის ასული (ქ-ნი [illegible]) მდიდარი და ლამაზი ქვრივია, რომელსაც შეუყვარდება სტუდენტი იური (ვასილიევი). იური მის გრძნობათა ბადეში გახვეული მხოლოდ მასთან ჰგრძნობს თავს ბედნიერად, ანნა რატომღაც დარწმუნებულია, რომ იურის გატაცება დროულია, ხანმოკლე იქნება და აი, მოისურვებს, რომ ორთავენი ამ მშვენიერების აპოთეოზს—სიყვარულს ერთსა და იმავე დროს მსხვერპლად შეეწირონ, რასაც სისრულეში მოიყვანენ კიდეც. ტეხნიკის მხრივ პიესა ნაკლებად სცენიურია. ასეთ განვითარებულ სულთა შორის პრიმიტიულ გრძნობათა ბადეს უფრო სხვა გვარი, მდიდრული და კეთილშობილური ფორმით განვითარება ეჭირვებოდა. მოუმარჯვებელმა ხელმა და მისმა კალამმა პრობლემა იგი სიყვარულის უბრალო ინსტიქტს ვერ გადააცილა და ბიოლოგიურ წარმოშობის ჩარჩოშივე ჩაჰკლა, ფინალი შაბლონს დაუმკვიდრა.

თუ პიესა ამ მხრივ დიდს ღირებულებას არ წარმოადგენს, სამაგიეროდ ქ-ნ იურიევამ ძლიერ ხელოვნის სული ჩაჰბერა მას, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში შედევრად ჩაითვლება მისი თამაში. ჩვენ ბევრს როლებში ვნახეთ ქ-ნი იურიევისა, მაგრამ იშვიათად მოგვეწონებია ასე რიგად. მის მიერ დახატული სურათი ანნასი სრული და უნაკლულო იყო. მდიდრული ტუალეტი მის გრძნობიერს თამაშს სრულ ჰარმონიით ეწყობოდა და მიტომაც იყო, რომ მობენეფისეს ყოველთვის მხურვალე ტაშით აჯილდოვებდნენ.

ბ-ნი ვასილიევი ბევრს საპასუხისმგებლო როლში ვნახეთ. როგორც ყოველთვის დღესაც იგი საუცხოვოდ ასრულებდა სტუდენტის როლს. მგრძნობიერი, თუ გნებავთ ჩვენი საუკუნის შესაძლებელია უკანასკნელი მოჰამლეტე სტუდენტი იური, რომლის არსებას სანთელსავით ჩამოჰქნის, ვინც პირველად ჩაიგდებს ხელში, მან საკმაოდ ძლიერი ფერადებით დაგვიხატა და ქ-ნ იურიევასთან შეწყობილ თამაშით მოგვხიბლა და მოგვაჯადოვა.

საზოგადოდ იშვიათის მწყობრი ანსამბლით დაიდგა პიესა. დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა. მობენეფისეს თაიგულები და საჩუქრები მიართვეს, სამწუხაროა მხოლოდ, რომ თეატრი თითქმის ცარიელ იყო, ამ დღეს თითქოს განგებ პარტერსაც კი ეტყობოდა სიცარიელე.

**დ. კ.—ძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი"




მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

წლ.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეგველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ იბებები.